სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/29

ქ. თბილისი

14 თებერვალი 2018

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტ ვ. გელოვანთან დაკავშირებით

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსის, პროფ. ო. ზუმბურიძის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტ ვ. გელოვანს, რომელიც გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა (ერთი წელი) საფრანგეთში მარსელის ცენტრალურ უნივერსიტეტში და წარმატებით დაასრულა სწავლება, მოეხსნას ერთი წლის სწავლის გადასახადი;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული საკითხი;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქ-ნი ნ. ხოლუაშვილი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**